

გამარჯვებულის გლობალური შიშები, დამარცხებულის ლოკალური ამბიციები

თორნიკე შარაშენიძე

ვიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი

კიდევ ერთი უშედეგო სამიტი

“ცივი ომის“ ყოფილი მეტოქეები დღესდღეობით სხვადასხვა ამოცანებით არიან დაკავებულნი. თუკი ადრე ორივე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცდილობდა ერთიმეორეს შევიწროებას, დღეს ვითარება სხვანაირია. გამარჯვებულმა დიდი ხანია ახალი, ამბიციური მიზნები დაისახა – მსოფლიო ტერორიზმის დაძლევა, დემოკრატიის განმტკიცება დედამიწის ზურგზე და ცხადია ამის პარალელურად საკუთარი ძლიერი პოზიციების შენარჩუნებაც. დამარცხებულის დღის წესრიგი შედარებით უფრო მოკრძალებულია – სხვადასხვა (ძირითადად ენერგეტიკული) ბერკეტებით თავის სამეზობლოში გავლენის აღდგენა, ევროპასთან დაახლოება და ამ უკანასკნელის ამერიკისგან მაქსიმალური მოწყვეტა. ამის პარალელურად, დამარცხებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს გამარჯვებულის მიერ ამბიციური გეგმების განხორციელებას, რომელიც ამ ბოლო დროს დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნის (ერაყის მაგალითი) და ელის როდის გადაიღლება გამარჯვებული ამდენ ფრონტზე ომით და როდის იტყვის უარს უპირობო პირველობაზე.

გასულ კვირას ყოფილი მეტოქეები კვლავაც თავთავიანთ პროგრამებს მისდევდნენ. რუსეთმა ცოტა ხნით ადრე მნიშვნელოვნად წაიწია წინ სამეზობლოში ენერგობერკეტების ეფექტური გამოყენების მხრივ გააფორმა არა წინასწარი ხელშეკრულება თურქმენეთსა და ყაზახეთთან ახალი გაზსადენის მშენებლობის თაობაზე. მაგრამ ამ წარმატებამ მნიშვნელოვნად დასწია უკან რუსული პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება – ევროპასთან დაახლოება. გაზსადენის პროექტმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ძველი კონტინენტის გეგმებს ენერგომიწოდებათა დივერსიფიკაციის თაობაზე და ეს დამატებით მიზეზი გახდა რუსეთ-ევროკავშირის სამიტის პრაქტიკულად ჩავარდნისათვის.

ჩავარდნის საფრთხე ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე ყველასათვის ცხადი იყო. გასულ სამშაბათს გერმანიის საგარეო მინისტრი შტაინმაიერი სპეციალურად გადაფრინდა მოსკოვში, რათა როგორმე გადაერჩინა მომავალი შეხვედრა კონფრონტაციული ტონისგან. თუკი აქამდე რუსეთ-ევროკავშირის ფორუმებს ძირითადად რუსეთის მიერ პოლონურ ხორცზე დადებული სანქციები ართულებდა, ახლა ამას ესტონეთის გარშემო ატეხილი სკანდალი და ლიტვისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტა დაემატა. სადაც ერთ პოლონეთთან კონფლიქტმა პარტნიორობასა და თანამშრომლობის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერა ჩაშალა, ძნელი წარმოსადგენი არ იყო რას მოიტანდა ერთდროულად სამ წევრ-ქვეყანასთან დაპირისპირება.

მოკლედ, შტაინმაიერის მცდელობათა სამიტმა პრაქტიკულად ვერანაირი პრობლემა ვერ მოაგვარა და ვერანაირად ვერ დაახლოვა ერთმანეთთან ორი მხარე. ევროკომისიის თავმჯდომარემ მანუელ ბაროზუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონური ხორცის საკითხმა საერთოევროპული ხასიათი მიიღო – ანუ, პოლონეთს ამ მხრივ სრულიად ევროკავშირის მხარდაჭერა ექნება. პრეზიდენტ

პუტინს პრეს-კონფერენციაზე საკმაოდ ცინიკური შეკითხვა დაუსვს: მართლაც არის თუ არა იგი წმინდა წყლის დემოკრატი (ასეთი ეპითეტით შეამკო იგი გერმანიის ყოფილმა კანცლერმა შრიოდერმა). შეკითხვის ცინიზმი პუტინის, როგორც პოლიტიკური ფიგურეს მისამართით, იყო გამიზნული. რუსეთის პრეზიდენტის პასუხი ასევე ცინიკური იყო, ოღონდ ეს ცინიზმი უკვე მთლიანად დემოკრატიის იდეას და დემოკრატიულ სამყაროს ეხებოდა: “სად გინახავთ თქვენ წმინდა წყლის დემოკრატია?” ამ პასუხმა ცხადყო, რომ რუსეთსა და ევროპას შორის წინააღმდეგობის მიზეზები ყოფილ მეტროპოლიასა და კოლონიებს (პოლონეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები) შორის დაპირისპირებით არ შემოიფარგლება. ამ დაპირისპირებას უფრო ღრმა ფესვები აქვს. თუმცა, ეს ფესვები შეიძლება არც გამოვლენილიყო, რომ არა პოლონური ხორცი და ესტონეთში მდგარი საბჭოთა “გამათავისუფლებლის” ძეგლი.

სამიტმა წარმოაჩინა რუსეთის საგარეო/უსაფრთხოების პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულების საგრძნობი შეუთავსებლობა. სამეზობლოზე (ყოფილ კოლონიებზე) გავლენის გავრცელება წინააღმდეგობაში მოდის ევროპასთან დაახლოებასთან. ზოგიერთი ყოფილი კოლონია უკვე ევროპის ნაწილია. ასევე ევროპას რუსეთის ენერგოექსპანსიაც არ მოსწონს. რუსეთში ზოგიერთიმ მიმომხილველი იმაზეც აღაპარაკდა, რომ პოლონეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები “ვაშინგტონის აგენტები” არიან, რომ ისინი განგებ აწყობენ პროვოკაციებს რუსეთის წინააღმდეგ და ამით უშლიან ხელს მოსკოვისა და ევროკავშირის დაახლოებას. რუს მიმომხილველთა უმრავლესობისათვის ევროპა კვლავაც მხოლოდ საფრანგეთი, გერმანია და იტალიაა – დიდი კონტინენტური სახელმწიფოები, რომელთანაც რუსეთს ურთიერთობებისა (და შიგადაშიგ ნაყოფიერი პარტნიორობის) საუკუნეობრივი გამოცდილება აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ევროკავშირში პატარებსაც აქვთ წონა და მათ აზრსაც უწევენ ანგარიშს. გარდა ამისა, მოსკოვს ზემოთხამოთვლილ დიდ კონტინენტურ სახელმწიფოებთანაც ვეღარ ექნება ისეთი თბილი ურთიერთობა, რომელიც ორიოდ წლის წინ ჰქონდა. პუტინის მეგობრები – შრიოდერი, ჟაკ შირაკი და სილვიო ბერლუსკონი ამ ქვეყნებს აღარ მართავენ. მათ მემკვიდრეებს ანტირუსულს ვერავინ უწოდებს (საერთოდ ნორმალური ქვეყნის ლიდერი არანაირი “ანტი” არ შეიძლება იყოს), მაგრამ აშკარაა, რომ თავიანთ წინამორბედებზე ნაკლებად პრორუსულები არიან.

აურზაური ბევრი არაფრის გამო

რაც შეეხება “ცივი ომის” გამარჯვებულს, იგი ამ პერიოდში მნიშვნელოვნადაა დაკავებული ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობებით. უკვე დიდი ხანია ჩინეთის მიერ მისი ეროვნული ვალუტის, იუანის ხელფონური გაუფასურება აშშ-ის ეკონომიკური პრობლემების მთავარ გამომწვევ მიზეზად ცხადდება – იუანის დაბალი კურსის გამო ჩინური საქონელი არაბუნებრივად იაფია და ამერიკულ წარმოებას ძირს უთხრის. კონგრესი, რომლის წევრთა უკანაც არაერთი მსხვილი ამერიკელი მეწარმის ინტერესები დგას, უკვე დიდი ხანია ითხოვს გადამწყვეტ ღონისძიებებს პეკინთან მიმართებაში. ჯერჯერობით ეს ღონისძიებები ვაჭრობის მსოფლიო ოგანიზაციაში სარჩელებით შემოიფარგლება, მაგრამ არაა გამორიცხული დაპირისპირება საერთაშორისო ფორმატს გასცდეს და ორმხრივ ვაჭრობაში პროტექციონისტული ზომებით გამოიხატოს. კონგრესმენებმა შეუმერმა და გრემმა ჯერ კიდევ შეიმუშავეს კანონპროექტი, რომელიც ჩინურ იმპორტზე 27,5%-იანი ტარიფის დადებას ითვალისწინებს (წესით ამ ტარიფმა უნდა გაანეიტრალოს ის ხელფონური ფასდაკლება, რომლითაც ჩინური საქონელი

იუანის გაუფასურებით სარგებლობს). ცხადია, კონგრესში ასეთი სახის კანონპროექტის განხილვაც კი სკანდალის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ ზემოთნახსენები კონგრესმენები ახლა ახალ კანონპროექტზე მუშაობენ, რომელიც მეტ თანხვედრაში იქნება ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის ნორმებთან.

კონგრესის შეშფოთება ერთი შეხედვით სრულიად ბუნებრივი და გასაგებია. გასულ წელს აშშ-ის ჩინეთთან სავაჭრო დეფიციტმა 233 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამ მაჩვენებელზე აშშ-ის მთლიანი დეფიციტის 30% მოდის. ჩინეთის სავაჭრო დადებითი სალდო გასულ წელს 250 მილიარდი იყო და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 9% შეადგინა (2001 წელს მასზე მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1% მოდიოდა). ეს ჯერ კიდევ არაფერია – მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში დადებითმა სავაჭრო სალდომ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 88%-ით აიწია. უკვე გასაგებია რა მაჩვენებლებით ჩაამთავრებს 2007 წელს მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდი გიგანტი.

ეს რიცხვები თავისთავად მრავლისმეტყველია, მაგრამ კარგად თუკი ჩაუუკირდებით, გამოჩნდება, რომ ისინი აშშ-სათვის სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემას ნამდვილად არ მოასწავებენ.

კონგრესმენები ჩივიან, რომ იაფიანი ჩინური საქონელი ამერიკულ კომპანიებს სირთულეებს უქმნის და სამუშაო ადგილების შემცირებას იწვევს. მაგრამ სადღეისოდ აშშ-ის უმუშევრობის მაჩვენებელი 4,5%-ია, რაც ბოლო 10 წლისათვის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. შესაძლოა, ჩინეთთან ვაჭრობას ზიანი მოაქვს ზოგიერთ დარგში დასაქმებული ამერიკული კომპანიისათვის, მაგრამ ამგვარი ზიანი საერთაშორისო ვაჭრობას ყველასთვის მოაქვს. ამავე დროს, ჩინეთთან ვაჭრობას საშუალო ამერიკელისათვის მრავალი სიკეთის მომტანია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩინური საქონელი იაფია (და ასევე ხარისხიანიც). იუანის კურსის აწევა ჩინური საქონლის გაძვირებას ნიშნავს. ეს ნამდვილად შეამცირებს აშშ-ის სავაჭრო დეფიციტს, მაგრამ საშუალო ამერიკელის ჯიბესაც დაარტყამს.

იუანიც დაბალ კურსს ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჩინეთი დიდი ოდენობით ყიდულობს დოლარებს და აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებს. ჩინეთის სავალუტო რეზერვებმა 1,2 ტრილიონ დოლარს მიაღწია – ეს რიცხვი თავისთავად მეტყველებს, რომ იუანის კურსი მართლაც ზედმეტად დაბალია, რადგან დოლარის ასეთი ოდენობით შესყიდვის გარეშე ჩინური ვალუტა უფრო გამაგრდებოდა. ჩინეთის მიერ ამერიკული ობლიგაციების შესყიდვა კი მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს აშშ-ის ეკონომიკას.

მოკლედ, მედალს აქაც ორი მხარე აქვს: გაუფასურებული იუანი აშშ-ის სავაჭრო დეფიციტს მართლაც ზრდის, მაგრამ ამავე დროს ამერიკული ეკონომიკისათვის მას დადებითი შედეგებიც მოაქვს. არის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტიც. ჩინეთთან დიდი სავაჭრო დეფიციტი აზიური ეკონომიკის აღმავლობას ასახავს. აზიას შედარებითი უპირატესობა გააჩნია დასავლეთთან, რაც უპირველესად იაფ მუშახელში გამოიხატება და უკვე არაერთი ათწლეულია, რაც აქაური საქონელი დიდი ოდენობით გადის ამერიკისა და ევროპის ბაზრებზე. იმის დიდი ნაწილი, რასაც ახლა ჩინეთისგან ყიდულობს, აშშ-ს ოდესღაც იაპონიის, სამხრეთ კორეასა და ტაივანიდან შემოჰქონდა. ჩინეთს ახლა ამ ქვეყნებიდან კომპონენტები შეაქვს, პროდუქციას თავისთან აწყოფს და შემდეგ აშშ-ში ჰყიდის. ამას თუკი გავითვალისწინებთ,

გამოდის, რომ ჩინეთთან სავაჭრო დეფიციტიდან მოგება იაპონიზე, ტაივანზე, და სამხრეთ კორეასა და სხვებზე ნაწილდება. ისიც გავისხენოთ, რომ “მეიდ ინ ჩაინას“ დიდი ნაწილი დასავლური ბრენდებია – უპირველესად კი ამერიკული. ანუ, აქედან მიღებული მოგების საკმაოდ ნაწილიც ჩინეთს გარეთ მიდის.

იუანის გარშემო ატეხილი აუიოტაჟის მიზეზი უფრო ალბათ არაეკონომიკური ხასიათისაა და მას მიზეზად ჩინეთის ზრდით გამოწვეული შემოფოტება უნდა დავასახელოთ. ვაშინგტონში სავაჭრო დეფიციტს ასეთ დიდ ყურადღებას იმპოტომაც იქცევს, რომ დეფიციტის უკან ჩინეთია – ერთი დიდი ქვეყანაა იმპერიული წარსულით და უდიდესი პოტენციალით. დეფიციტის მიზეზი რომ შედარებით მომცრო ქვეყნების ჯგუფი იყოს, მაშინ შემოფოტება ასეთი მასშტაბის არ იქნებოდა. მაგრამ როგორც ზემოთ ვნახეთ, დეფიციტი სწორედაც რომ რამდენიმე ქვეყანაზე ნაწილდება. ასე რომ საგანგაშო იმდენად არაფერია.

განქორწინება გერმანულად

რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ დასრულდა “დაიმლერისა” და “კრაისლერის“ 9-წლიანი უიღბლო თანაცხოვრება. გერმანულმა კომპანიამ “კრაისლერის“ გაყიდვაში არამცთუ მოგება ვერ ნახა, არამედ საბოლოო ჯამში აქეთ გადაიხადა ფული წამგებიანი საწარმოს თავიდან მოსაცილდებლად. “კრაისლერის“ 80,1% კერძო საინვესტიციო ფირმა “სერბერუს კაპიტალ მენეჯმენტმა“ იყიდა და ფორმალურად მასში 7,4 მილიარდი დოლარიც გადაიხადა. მაგრამ ამ თანხის დიდი ნაწილი “კრაისლერში“ ჩადებულ ინვესტიციას წარმოადგენს. “დაიმლერი“ “კრაისლერის“ ვალებს დაფარავს და “ყოფილ მეუღლეს“ კიდევ 400 ათასიან გრანტს აძლევს. ამ გარიგების შედეგად გერმანული გიგანტი 670 მილიონ დოლარს კარგავს, მაგრამ ასევე კარგავს წამგებიან “კრაისლერსაც.“

“დაიმლერის“ მხრიდან “კრაისლერის“ გაყიდვის საქმეში გამოჩენილი ასეთი ენთუზიაზმი ალბათ ლოგიკურად ბადებს შეკითხვას – ვინ არის ეს “სერბერუსი“ და რატომ დებს იგი მილიარდებს საქმეში, რომელსაც “დაიმლერის“ მასშტაბის კომპანიამ ვერაფერი მოუხერხა. “სერბერუსის“ თავმჯდომარე ჯონ სნოუ გახლავთ – აშშ-ის ყოფილი ფინანსთა მინისტრი. მას მიაჩნია, რომ მანქანამწარმოებელი დამოუკიდებლად გაცილებით უკეთ იმუშავებს, ვიდრე მუშაობდა გერმანელებთან ერთად. მაგრამ ნუთუ მხოლოდ ეს არის? ჩანს, სნოუს გეგმები და ამბიციები საქმიან სამყაროს სცდება. როგორც აშშ-ის ყოფილ ფინანსთა მინისტრს, მას სურს დეტროიტის დიდი სამეულის ერთ-ერთი წევრი ძლიერ კომპანიად აქციოს და ამით საფუძველი ჩაუყაროს ამერიკული მანქანათმშენებლობის აღორძინებას, რომელიც ბოლო დროს ასეთ სერიოზულ დარტყმებს იღებს იაპონური კომპანიებისაგან.

სნოუს უკან საინვესტიციო ჯგუფი დგას, რომელსაც დიდძალი თანხები გააჩნია. ეს თანხები კიდევ უფრო მოიმატებს ფასიან ქაღალდების ბაზარზე სწორი სტრატეგიის გატარების შემთხვევაში. აშშ-ის ყოფილ ფინანსთა მინისტრს კი ასეთი სტრატეგიის არჩევა არ უნდა გაუჭირდეს. წარმატებული “სერბერუსი“ “კრაისლერის“ ზარალს გაცილებით უფრო იოლად აიტანს, ვიდრე მას “დაიმლერი“ იტანდა. შემდეგ კი იქნებ მოგებაზეც ამუშავდეს. მისი დაარსებიდან (1924 წელი) მოყოლებული “კრაისლერი“ ხშირად მდგარა სერიოზული კრიზისის წინაშე, მაგრამ იგი დღემდე არსებობს. კრიზისის დაძლევა ალბათ “ფორდს“ უფრო გაუჭირდება, რომელიც ასე სიძნელეებს დაჩვეული არ არის. “ფორდი“ მეტისმეტად დიდი და ამბიციური კომპანიაა რათა ვინმეს მიეყიდოს. შედარებით პატარა “კრაისლერისათვის“ კი ეს დასაშვებია.

